

შპს “იბერია ტექ ავტომობილი”

ფინანსური ანგარიშგება,
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.....	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	Error! Bookmark not defined.
1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	14
5. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც შევიდა ძალაში	15
6. ძირითადი საშუალებები	17
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	18
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენიარად:	18
9. გადახდილი ავანსები	18
10. ფული და ფულის ექვივალენტები	18
11. მიღებული სესხები	19
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
13. მიღებული ავანსები	19
14. შემოსავალი	19
15. თვითღირებულება	20
16. ადმინისტრაციული ხარჯები	20
17. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი	20
18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები, წმინდა	20
19. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	20
20. საკურსო სხვაობიდან მიღებული შედეგი	21
21. ფინანსური რისკის მართვა	22
22. კაპიტალის რისკის მართვა	25
23. გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
24. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია	26
25. დაკავშირებული მხარეები	26
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28

შპს “იზერია ტექ ავტომოტივი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	-	-	70,827
არამატერიალური აქტივები		3,851	3,848	3,572
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	-	-	2,590,563
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,217,311	3,283,820	4,518,294
გადახდილი ავანსები	9	435,176	435,176	72,606
წინასწარ გადახდილი გადასახადები		352,553	140,009	282,678
ფული და ფულის ექვივალენტები	10	74,571	14,352	533,861
სულ აქტივები		3,083,462	3,877,205	8,072,401
კაპიტალი				
მფლობელთა კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		(8,935,672)	(7,054,686)	(3,061,073)
სულ კაპიტალი		(8,935,472)	(7,054,486)	(3,060,873)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	11	5,549,764	5,549,764	5,877,424
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,549,764	5,549,764	5,877,424
მიმდინარე ვალდებულებები				
გადასახდელი პროცენტები	11	4,002,621	3,903,582	3,804,869
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,117,969	1,129,765	1,201,923
მიღებული ავანსები	13	348,581	348,580	249,057
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,469,171	5,381,927	5,255,849
სულ ვალდებულებები		12,018,935	10,931,691	11,133,273
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,083,463	3,877,205	8,072,401

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს.

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი

შპს “იბერია ტექ ავტომოტივი”

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022	2021
შემოსავალი	14	162,605	6,614,949	7,507,488
თვითღირებულება	15	(162,605)	(5,811,448)	(6,254,837)
საერთო მოგება		-	803,501	1,252,651
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(17,105)	(1,534,478)	(1,080,275)
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხაჯები	17	-	(45,801)	(33,619)
ცვლილება გაუფასურების რეზერვში		(1,812,277)	(951,408)	-
სხვა შემოსავლები	18	68,810	231,144	88,360
სხვა ხარჯები	18	(1,361)	(2,467,778)	(3,496)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(1,761,933)	(3,964,820)	223,621
ფინანსური შემოსავალი	19	-	-	627
ფინანსური ხარჯი	19	(99,038)	(116,793)	(103,633)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული შედეგი	20	(20,015)	88,134	(221,744)
მოგება დაბეგვრამდე		(1,880,986)	(3,993,479)	73,518
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(134)	(350)
წმინდა მოგება		(1,880,986)	(3,993,613)	73,167
სულ წლის სრული შემოსავალი		(1,880,986)	(3,993,613)	73,167

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს.

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი

შპს “იბერია ტექ ავტომოტივი”

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(3,061,073)	(3,060,873)
წლის მოგება		(3,993,613)	(3,993,613)
სულ სხვა სრული შემოსავალი		(7,054,686)	(7,054,686)
კაპიტალის უკან გატანა		-	-
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(7,054,686)	(7,054,686)
წლის მოგება		(1,880,986)	(1,880,986)
სულ სხვა სრული შემოსავალი		(8,935,672)	(8,935,672)
კაპიტალის უკან გატანა		-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(8,935,672)	(8,935,672)

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს.

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე	(1,880,986.00)	(3,993,613)	73,168
კორექტირებები:			
წმინდა ფინანსური ხარჯი	99,038	116,793	123,365
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	1,812,277	951,408	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	20,015	(88,134)	27,366
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	50,344	(3,099,258)	263,768
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგები	-	2,590,563	93,041
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(752,200)	(96,050)	(372,528)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	974,600	185,358	191,468
საგადასახადო ვალდებულებები	(212,544)	142,669	(236,919)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	60,199	(276,718)	(61,170)
გადახდილი პროცენტები	-	(98,713)	(76,467)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	60,199	(375,431)	(137,637)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(6,724)	(46,651)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	77,551	1,861
არამატერიალური აქტივის შეძენა	-	(400)	(3,572)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	-	70,427	(48,362)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:			
წმინდა ცვლილება მიღებულ სესხებში	-	(190,777)	238,393
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	(190,777)	238,393
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	14,352	533,861	506,867
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	60,199	(495,781)	52,394
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	20	(23,728)	(25,400)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	74,571	14,352	533,861

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს.

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი

შპს "იბერია ტექ ავტომოტივი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	-	70,827
არამატერიალური აქტივები		3,851	3,572
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	-	2,590,563
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,217,311	4,518,294
გადახდილი ავანსები	9	435,176	72,606
წინასწარ გადახდილი გადასახადები		352,553	282,678
ფული და ფულის ექვივალენტები	10	74,571	533,861
სულ აქტივები	3,083,462	3,877,205	8,072,401
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		(8,935,672)	(3,061,073)
სულ კაპიტალი	(8,935,472)	(7,054,486)	(3,060,873)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	5,549,764	5,877,424
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	5,549,764	5,549,764	5,877,424
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდელი პროცენტები	11	4,002,621	3,804,869
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,117,969	1,201,923
მიღებული ავანსები	13	348,581	249,057
სულ მიმდინარე ვალდებულებები	6,469,171	5,381,927	5,255,849
სულ ვალდებულებები	12,018,935	10,931,691	11,133,273
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3,083,463	3,877,205	8,072,401

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს.

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი



შპს "იბერია ტექ ავტომოტივი"

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022	2021
შემოსავალი	14	162,605	6,614,949	7,507,488
თვითღირებულება	15	(162,605)	(5,811,448)	(6,254,837)
საერთო მოგება		-	803,501	1,252,651
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(17,105)	(1,534,478)	(1,080,275)
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	17	-	(45,801)	(33,619)
ცვლილება გაუფასურების რეზერვში		(1,812,277)	(951,408)	-
სხვა შემოსავლები	18	68,810	231,144	88,360
სხვა ხარჯები	18	(1,361)	(2,467,778)	(3,496)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(1,761,933)	(3,964,820)	223,621
ფინანსური შემოსავალი	19	-	-	627
ფინანსური ხარჯი	19	(99,038)	(116,793)	(103,633)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შედეგი	20	(20,015)	88,134	(221,744)
მოგება დაზღვევამდე		(1,880,986)	(3,993,479)	73,518
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(134)	(350)
წმინდა მოგება		(1,880,986)	(3,993,613)	73,167
სულ წლის სრული შემოსავალი		(1,880,986)	(3,993,613)	73,167

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს.

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი



შპს "იბერია ტექ ავტომოტივი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(3,061,073)	(3,060,873)
წლის მოგება		(3,993,613)	(3,993,613)
სულ სხვა სრული შემოსავალი		(7,054,686)	(7,054,686)
კაპიტალის უკან გატანა		-	-
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(7,054,686)	(7,054,686)
წლის მოგება		(1,880,986)	(1,880,986)
სულ სხვა სრული შემოსავალი		(8,935,672)	(8,935,672)
კაპიტალის უკან გატანა		-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	(8,935,672)	(8,935,672)

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს.

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი

ალექსანდრე დევდარიანი



შპს „იბერია ტექ ავეტომოტივი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე	(1,880,986.00)	(3,993,613)	73,168
კორექტირებები:			
წმინდა ფინანსური ხარჯი	99,038	116,793	123,365
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	1,812,277	951,408	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	20,015	(88,134)	27,366
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	50,344	(3,099,258)	263,768
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარგები	-	2,590,563	93,041
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(752,200)	(96,050)	(372,528)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	974,600	185,358	191,468
საგადასახადო ვალდებულებები	(212,544)	142,669	(236,919)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	60,199	(276,718)	(61,170)
გადახდილი პროცენტები	-	(98,713)	(76,467)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	60,199	(375,431)	(137,637)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(6,724)	(46,651)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	77,551	1,861
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(400)	(3,572)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	-	70,427	(48,362)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:			
წმინდა ცვლილება მიღებულ სესხებში	-	(190,777)	238,393
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	(190,777)	238,393
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	14,352	533,861	506,867
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	60,199	(495,781)	52,394
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	20	(23,728)	(25,400)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	74,571	14,352	533,861

შპს „იბერია ტექ ავტომობილები“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს.

გენერალური დირექტორი

ა. ჯაფარიძე

ალექსანდრე დეცდარიანი



შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“ (კომპანია) (სამეწარმეო რეესტრში სიდენტიფიკაციო ნომრით: 236093473) დაარსდა 2010 წელს, საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა ავტომობილების სათადარიგო ნაწილების გაყიდვა. კომპანია ფლობდა იმპორტირებული პროდუქციის სადისტრიბუციო ქსელს, რომელიც მოიცავდა როგორც თბილისს, ასევე საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს. კომპანიის იურიდიული მისამართია დავით აღმაშენებლის ქუჩა, მცხეთა, საქართველო. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო ნული თანამშრომელი (2022: 13 თანამშრომელი).

2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	75%	75%	75%
შპს „Richard Seller“	25%	25%	25%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორის პოზიცია დაკავებული ჰქონდა ზაზა ნოზაძეს, პ/ნ 11001002565.

კომპანიის ოპერაციები და სტრატეგიული გადაწყვეტილებები

წინა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“ მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, შეეწყვიტა ავტომობილების სათადარიგო ნაწილებითა და საპოხი საშუალებებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ძირითადი ოპერაციები. კომპანიამ ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების და მარაგების 100% გადასცა სხვა კომპანიას. ასევე, კომპანიამ სხვა კომპანიის სასარგებლოდ დათმო სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი. მიუხედავად ამისა, კომპანია კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას სულ მცირე მომდევნო 12 თვის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლო მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ფიქსირდება მიღებული სესხები - 9,552,385 ლარს ოდენობით და სავაჭრო ვალდებულებები 2,117,969 ლარის ოდენობით, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა იქნება კომპანიის ოპერაციების ძირითადი ნაწილი და ამ ვალდებულებების დაფარვის შემდეგ კომპანიამ შესაძლოა სრულად შეაჩეროს საქმიანობა.

ფუნქციონირებადობა

„მენეჯმენტმა შეაფასა შპს „იბერია ტექ ავტომოტივის“ შესაძლებლობა, გააგრძელოს საქმიანობა და დაასკვნა, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსები, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულებები მინიმუმ მომდევნო 12 თვის განმავლობაში. ძირითადი საოპერაციო საქმიანობის შეწყვეტის მიუხედავად, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს მუშაობა მიღებული სესხებისა და სავაჭრო ვალდებულებების დასაფარავად.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად:

- „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი წარადგინა როგორც - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომლებიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროსა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს წარადგენს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება წარდგენილი აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით. პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ურთიერთგაქვითული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთგაქვითვალს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოთხოვს განმარტებითი შენიშვნები რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

საწყისი აღიარების შემდგომ, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა, ძირითადი საშუალებების აღირიცხება ხორციელდება დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. სატრანსპორტო საშუალებები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ii. შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია: მანქანა-დანადგარები - 20%-40%

- სატრანსპორტო საშუალებები - 20%-40%

- სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 15%-30%

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

წარმოების პროცესში თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის მარაგების ანგარიშებზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები. საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე

დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. სხვაობა არაფულადი შენატანის ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იზიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი საკურსო სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსები საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.10	2.97
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.70	2.88
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.10	3.50

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც შევიდა ძალაში

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ზასსს") მიერ გამოცემული ყველა ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის და რომელიც გავლენას ახდენდა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნებისმიერი ახალი ან შეცვლილი საბუღალტრო სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სავალდებულო, ადრე არ არის მიღებული.

ახალი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და ინტერპრეტაციები ჯერ არ არის სავალდებულო ან ადრე მიღებული.

შესწორება ფასს 16 -ში - იჯარა გასაყიდად და უკულიზინგი

ეს ცვლილებები მოიცავს ფასს 16-ში გაყიდვისა და უკულიზინგის ტრანზაქციების მოთხოვნებს, რათა ახსნას, თუ როგორ ითვალისწინებს სუბიექტი გაყიდვას და იჯარის უკულიზინგს ტრანზაქციის თარიღის შემდეგ. გაყიდვა და უკულიზინგის ოპერაციები, სადაც ზოგიერთი ან ყველა იჯარის გადახდა არის ცვლადი გადახდა, რომელიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, სავარაუდოდ გავლენის ქვეშ მოექცევა.

ცვლილება ბასს 1-ში – გრძელვადიანი ვალდებულებები შეთანხმებებით

ეს ცვლილებები განმარტავს, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების პირობები, რომლებიც უნდა შეასრულოს საწარმომ საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში. ცვლილებები ასევე მიზნად ისახავს საწარმოს მიერ მოცემული პირობების დაქვემდებარებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუმჯობესებას.

ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში - მიმწოდებლის ფინანსები

ეს ცვლილებები მოითხოვს გამჟღავნებას, რათა გაზარდოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობა და მათი გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულადი ნაკადებსა და ლიკვიდობის რისკის ზემოქმედებზე. გამჟღავნების მოთხოვნები არის ბასსს-ის პასუხი ინვესტორების შემფოთებაზე, რომ ზოგიერთი

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

კომპანიის მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმება არ არის საკმარისად თვალსაჩინო, რაც ხელს უშლის ინვესტორების ანალიზს.

ცვლილებები ბასს 21-ში - გაცვლითიუნარიანობის სიმწირე

საწარმოზე გავლენას ახდენს ცვლილებები, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ კონვერტირდება სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით. ვალუტა კონვერტირებადია, როდესაც არსებობს სხვა ვალუტის მოპოვების შესაძლებლობა (ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დაგვიანებით) და ტრანზაქცია განხორციელდება ბაზრის ან გაცვლის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ქმნის აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარის გაუმჯობესება	სულ
თვითღირებულება:					
31 დეკემბერი 2021	236,093	130,662	167,294	73,746	607,795
შემოსვლები	-	6,724	-	-	6,724
გასვლები	-	(24,797)	(20,843)	(31,911)	(77,551)
31 დეკემბერი 2022	236,093	112,589	146,451	41,835	536,968
შემოსვლები	-	-	-	-	-
გასვლები	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	236,093	112,589	146,451	41,835	536,968
აკუმულირებული ცვეთა:					
31 დეკემბერი 2021	236,093	112,589	146,451	41,835	536,968
წლიური ცვლილება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	236,093	112,589	146,451	41,835	536,968
წლიური ცვლილება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023	236,093	112,589	146,451	41,835	536,968
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
31 დეკემბერი 2021	-	18,073	20,843	31,911	70,827
31 დეკემბერი 2022	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	-	-	-	-

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სათადარიგო ნაწილები	-	-	2,563,425
სხვა	-	-	27,139
სულ მარაგები	-	-	2,590,564

წინა საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ დროებით შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა, ბალანსზე არსებული მარაგები კი უსასყიდლო მიწოდების გზით გადასცა სხვა კომპანიას.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან	5,255,668	4,509,839	4,808,232
ანარიცხები მოთხოვნების გაუფასურებაზე	(3,070,775)	(1,258,498)	(307,089)
სხვა მოთხოვნები	32,266	32,479	17,152
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,217,159	3,283,820	4,518,294

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენილიდან:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	1,258,498	307,089	307,089
წლის განმავლობაში აღიარებული ზარალის რეზერვი	1,812,277	951,409	-
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	3,070,775	1,258,498	307,089

9. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები	435,176	435,176	65,306
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	-	-	7,300
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	435,176	435,176	72,606

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული	1	2,539	8,791
საბანკო ანგარიშები:			
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	55,902	11,813	509,038
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	18,669	138	16,032
სულ	74,572	14,490	533,861

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

11. მიღებული სესხები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სესხის დასახელება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	მიმდინარე ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	სულ
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	11/1/2006	12/31/2024	13.50%	GEL	3,585,929	4,688,564	8,274,493
IBG სესხი NEW	12/15/2017	12/31/2027	11.50%	GEL	416,692	861,200	1,277,892

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

პროდუქტი	დაწყების თარიღი	დასრულებ ის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	მიმდინარე ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	სულ
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	11/1/2006	12/31/2024	13.50%	GEL	3,585,929	4,688,564	8,274,493
IBG სესხი NEW	12/15/2017	12/31/2027	11.50%	GEL	317,654	861,200	1,178,854

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საქონლის შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	1,889,606	1,111,007	1,166,154
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	14,202	14,202	35,047
სხვა	4,558	4,558	722
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	544,326	966,046	1,201,923

13. მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ავანსები სათადარიგო ნაწილებისთვის	348,580	348,580	249,057
სულ	348,580	348,580	249,057

14. შემოსავალი

	2023	2022	2021
სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	162,605	6,614,949	7,507,488
სულ	162,605	6,614,949	7,507,488

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022	2021
გაყიდული სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	162,605	5,811,448	6,254,837
სულ	162,605	5,811,448	6,254,837

16. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022	2021
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები	-	385,315	602,951
იჯარის ხარჯი	-	101,232	211,194
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	39,867
კომუნალური ხარჯი	-	4,334	4,643
საბანკო მომსახურების ხარჯი	63	11,557	22,904
საკონსულტაციო მომსახურება	15,730	34,527	106,043
საწვავის ხარჯი	-	-	15,680
უსაფრთხოების ხარჯი	-	1,205	2,530
მივლინების ხარჯი	-	6,706	8,071
სადაზღვევო ხარჯი	-	3,406	6,065
საკომუნიკაციო ხარჯი	449	4,617	6,258
საკანცელარიო ხარჯი	-	3,390	2,667
რემონტის ხარჯი	-	7,607	11,225
სხვა	864	19,173	40,177
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	17,105	583,069	1,080,275

17. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი

	2023	2022	2021
ტრანსპორტირების ხარჯი	-	43,244	30,572
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი	-	2,177	1,228
წარმომადგენლობის ხარჯი	-	380	1,819
სულ	-	45,801	33,619

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები, წმინდა

	2023	2022	2021
არასაოპერაციო შემოსავალი	(68,811)	(231,144)	-
არასაოპერაციო ხარჯები	1,361	4,370,728	3,496
სულ	(67,450)	4,139,584	3,496

არასაოპერაციო შემოსავლების ძირითად ნაწილს შეადგენს გადაფასებიდან მიღებული შემოსავლები.

19. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები, წმინდა

	2023	2022	2021
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	(99,038)	(116,793)	(103,633)
სულ ფინანსური ხარჯი	(99,038)	(116,793)	(103,633)

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	-	-	627
სულ ფინანსური შემოსავალი	-	-	627
წმინდა ფინანსური ხარჯი	(99,038)	(116,793)	(103,006)

20. საკუროს სხვაობიდან მიღებული შედეგი

	2023	2022	2021
ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	20,015	(23,728)	(215,359)
ფინანსური ვალდებულებები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	-	111,862	(6,385)
სულ	20,015	88,134	(221,744)

21. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის არსებითი სხვაობა.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

	2023	2022	2021
ამორტიზებული ღირებულება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,217,159	3,283,820	4,525,594
ფული და ფულის ექვივალენტები	74,571	14,352	533,861
სულ ფინანსური აქტივები	2,291,730	3,298,172	5,059,456

ფინანსური ვალდებულებები

	2023	2022	2021
ამორტიზებული ღირებულება			
გრძელვადიანი სესხები	9,552,385	9,453,346	9,682,293
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,117,969	1,129,765	1,201,923
სულ ფინანსური აქტივები	11,670,354	10,583,111	8,480,370

22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები**ა) საბაზრო რისკი**

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

31 დეკემბერი 2023	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და საბანკო ანგარიშები	-	18,669
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,569	103,027
სულ ფინანსური აქტივები	2,569	121,696
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,210	36,288
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,210	36,288
წმინდა პოზიცია	(1,641)	85,408

31 დეკემბერი 2022	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და საბანკო ანგარიშები	-	138
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,162	271,429
სულ ფინანსური აქტივები	8,162	271,567
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,162	141,564
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,162	141,564
წმინდა პოზიცია	6,000	130,003

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15% კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი განაკვეთით.

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ქვემოთ წარმოდგენილია დოლართან და ევროსთან მიმართებით ლარის 15%-იანი გამყარების ეფექტი:

აშშ დოლარის გავლენა			ევროს გავლენა		
2023	2022	2021	2023	2022	2021
მოგება/ზარალი (246)	900	(66,438)	12,881	13,000	(26,569)
მოგება/ზარალი (246)	900	(66,438)	12,881	13,000	(26,569)

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს სავალუტო რისკის პოზიციას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ისეთი სახის რისკს, რომლის ცვლილებამაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. იმდენად რამდენადაც კომპანიას არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები, მენეჯმენტს სჯერა რომ კომპანია დაცულია მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკისგან.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის მიზნებისთვის, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს ყველა სავაჭრო მოთხოვნის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, ვინაიდან ეს მუხლები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები შეფასებული იქნა ერთობლივად, ვინაიდან ისინი ფლობენ მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს. ისინი დაჯგუფებულ იქნენ განვლილი დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე 2022 წლის 31 დეკემბრამდე და 2022 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა. კომპანიამ დაადგინა, რომ სფი ინფლაცია და უმუშევრობის მაჩვენებელი საცალო მყიდველისთვის და ლარი/აშშ დოლარის ნომინირებული გაცვლითი კურსი ბიზნეს მომხმარებლებისთვის არის ყველაზე შესაბამისი ფაქტორები და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელი

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული მოკლევადიანი პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვნად.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით ასეთია:

31 დეკემბერი 2023	რეზერვის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	0.14%	16,039	22
1-დან 6 თვემდე	6.18%	12,033	744
6-დან 1 წლამდე	31.96%	1,066,006	340,691
1 წელზე მეტი	56.29%	4,849,074	2,729,318
სულ		5,943,152	3,070,775

31 დეკემბერი 2022	რეზერვის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	0.14%	22,735	31
1-დან 6 თვემდე	6.18%	1,750,503	108,261
6-დან 1 წლამდე	31.96%	2,528,315	808,039
1 წელზე მეტი	56.29%	607,914	342,166
სულ		4,909,467	1,258,497

31 დეკემბერი 2021	რეზერვის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	0.14%	3,994,608	5,456
1-დან 6 თვემდე	6.18%	229,751	14,209
6-დან 1 წლამდე	31.96%	75,471	24,120
1 წელზე მეტი	56.29%	467,802	263,304
სულ		4,767,632	307,089

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივად ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულადი ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2023	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
6 თვეზე ნაკლები	1,908,366	-	1,908,366
1-5 წლამდე	-	5,549,764	5,549,764
სულ	1,908,366	5,549,764	7,458,130

31 დეკემბერი 2022	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
6 თვეზე ნაკლები	1,129,765	-	1,129,765
1-5 წლამდე	-	5,549,764	5,549,764
სულ	1,129,765	5,549,764	6,679,529

31 დეკემბერი 2021	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
6 თვეზე ნაკლები	1,201,923	-	1,129,765
1-5 წლამდე	-	9,682,293	5,549,764
სულ	1,201,923	9,682,293	10,884,217

ლიკვიდურობის რისკის შესაფასებლად, კომპანია იყენებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, განსაკუთრებით კი ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნების შეფასების მიზნით.

23. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მფლობელთა კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს რეზერვებს და აკუმულირებულ მოგებას.

მენეჯმენტი მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტურისაერთ ოსტრუქტურადა ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხების სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი).

24. გაუთვალისწინებელი გარემოებები

29.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

29.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს. ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

25. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი კომპანიის ვალდებულებების ცვლილება კლასიფიცირებულია როგორც მოცემულია ქვემოთ:

ქართული ლარი	სესხები	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	9,682,293	9,682,293
<i>ფულადი ნაკადები</i>		
შემოსულობა	-	-
გადახდები	(190,777)	(190,777)
გადახდილი პროცენტები	(98,713)	(98,713)
<i>არაფულადი ნაკადები</i>		
დარიცხული პროცენტები	116,793	116,793
გადახდილი პროცენტები	-	-
საკურსო სხვაობიდან მოგება/ზარალი	(56,250)	(56,250)
რეკლასიფიკაცია	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	9,453,346	9,453,346
<i>ფულადი ნაკადები</i>		
შემოსულობა	-	-
გადახდები	-	-
გადახდილი პროცენტები	-	-
<i>არაფულადი ნაკადები</i>		
დარიცხული პროცენტები	99,038	99,038
გადახდილი პროცენტები	-	-
საკურსო სხვაობიდან მოგება/ზარალი	-	-
რეკლასიფიკაცია	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	9,552,384	9,552,384

26. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან
- (II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავე ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;
- (IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამკირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

- (VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;
- (VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (VIII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და პერიოდის ბოლო ნაშთები.

ა) საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს შპს „აი-ბი-ჯი“, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 75%. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები არიან: დავით ხეჩიკაშვილი - 40%, ნიკოლაი ფრეიტაკ - 20%, თამარ გვზავა - 15%, მადონა თამანაშვილი - 10.89%, დავით ფერაძე - 9.11%, სნეჟნა კოტოვა - 5%.

ბ) წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და პერიოდის ბოლო ნაშთები.

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ტრანზაქციები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მშობელი კომპანიის მფლობელები			
საქონლის რეალიზაცია	-	1,265	-
დედა კომპანია			
საქონლის რეალიზაცია	-	-	620
სერვისების შეძენა	-	-	76,553
სესხის აღება	-	460,000	327,736
სესხების გადახდა	-	460,000	277,736
საპროცენტო ხარჯი	99,038	98,714	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები			
საქონლის რეალიზაცია	-	563,357	285,439
სერვისების შეძენა	-	364	-
ბალანსები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,278	14,278	13,014
დედა კომპანია			
მიღებული სესხები	9,552,385	9,453,346	8,274,493
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	6,159	698,306
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,626,919	3,603,137	2,562,051

გ) ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის ახლო წევრებთან.

კომპანიის დირექტორებს და მათი ოჯახის ახლო წევრებს არ ჰქონდათ შპს „იბერია ტექ ავტომოტივის“ მნიშვნელოვანი წილი 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მმართველმა ხელმძღვანელობამ მიიღო შემდგომი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რაც შედის ხელფასების უწყისში და თანამშრომელთა სარგებელში.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ხელფასები და ბონუსები	-	48,859	59,197

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ყოფილა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებას, გარდა ქვემოთ აღნიშნულისა :

2024 წლის 8 აპრილიდან კომპანიის დირექტორის თანამდებობა დაიკავა ალექსანდრე დევდარიანმა (პ/ნ 01030033346).